# თეატრი და ცხოვრება

დაარსების წელიწადი მეათე, გამოცემის მერვე

ფასი 10 მანეთი

№ 4


გაუმარჯოს თავისუფალ ხელოვნებას თავისუფალ საქართველოში!

გაუმარჯოს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას!


## „თეატრი და ცხოვრება"

წლიურად 100 მან., ნახევარი წლით 60 მან. თითო ნომერი—10 მან. ხელის მოწერა მიიღება: თბილისში, ბაზრის ქუჩა № 20 ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ; ფოსტით: თბილისი, რედაქცია „თეატრი და ცხოვრება" იოსებ იმედაშვილს. ტელეფონი № 4—73.

სათეატრო, სალიტერატურო, სამუსიკო, სამხატვრო და საზოგადოებრივ შინაარსის ყოველკვირეული ჟურნალი.

დაარსდა 1910 წ. — კვირა, თებერვლის 1 — გამოსვლა 1920 წ.




სომეხთა მსახიობქალი მაისურიანი

35 წ. მოღვაწეობის შესრულების გამო



სახალხო გვარდიის წარმომადგენელთა ყრილობა თბილისში 1919 წ.

# კმარა პამპულობა!

ჩვენის სამშობლოს განთავისუფლებას სათეატრო ხელოვნების თავისუფლებაც მოჰყვა. დაბა-ქალაქად თუ სოფლად მრავალი სცენის მოყვარეთა წრე შესდგა და წარმოდგენები იმართება. დიდ ქალაქებში თითქმის ყველა ხელობა-წოდების ხალხმა თავთავისი კლუბები მოაწყო საკუთარი თეატრებით... ხალხი თეატრს ეტანება, თითქო ხელოვნება დღესასწაულობს, მაგრამ... მაგრამ, შენი მტერიი, ასეთ სცენებზე რომ წარმოდგენები იმართება: თითქმის არსად შესაფერი სცენა არც დეკორაციები, არც ხელსაწყო... გრიმსა და ჩაცმულობაზე ხომ ბევრ ადგილას თითქმის წარმოდგენაც არა აქვთ... გარდა ამისა, იშვიათად რომ სცენის მოყვარემ როლი იცოდეს, შეგნებულ-შეთვისებული ჰქონდეს მისი ხასიათი,.. და ასე „მსახიობებენ„ „არტისტობენ.“ ზოგიერთ ახალ ჩამოსხმულ „სცენის მოყვარეთ“ მიზნად დაუსახავთ ყოველ კვირა ახალი პიესის დადგმა, ეს იმ დროს, როცა თითქმის არც ერთს მათგანს იმდენი დროც კი არა აქვს პიესა თავიდან ბოლომდე მოისმინოს და როლი რიგიანად შეისწავლოს... განა ასეთის სახიობით ხელოვნების სასურველ შედეგს მიაღწევენ და ხალხს იმ სარგებლობას მოუტანენ, რაიც თეატრის მიზანია?—

არა და არა! აქ არა თუ ხელოვნების სიწმინდის დაცვაა, არამედ—შეპილწვა.

ერობათა, თემთა, ინტელიგენციისა და მოწინავე დემოკრატიის ვალია, ამ გარემოებას ანგარიში გაუწიონ: სადაც უკვე ჩაისახა სათეატრო ჯგუფები—შესაფერი დარბაზის მოპოება აგებაში ხელი შეუწყონ ყოველგვარი საჭირო მორთულობით, და ამ დარბაზებმაც ღირსეულ სცენის მოყვარე—მუშაკთ გაუღონ კარი, რათა ხელოვნების გათახსირებას ბოლო მოეღოს და თეატრი ხალხის გონება-ზნეობის ნამდვილი აღმზრდელი, წმინდა ტაძარი შეიქმნეს....

კმარა პამპულობა!.. **იოსებ იმედაშვილი**

# სატრფოს

ლამპრად აგენთე, სატრფოო,
ცრემლი შეგიშრე სხივითა,
ტიტველი მკერდი მოგირთე
გულ-საკინძ ფირუზ-მძივითა...

შენი იარა გავბანე
თაფლ-ნარევ გრძნობა ენითა,
ოცნებით ცაში დამყევხარ
ჩემის ჩონგურის ჟღერითა...

**ა. კლიმიაშვილი**

# დ. კლდიაშვილი

პეტრე მირიანაშვილი ჩივის, რა ამბავია იუბილეები გახშირდაო, მარტო საზოგადოებას ვაწუხებთო.

მე კი მიხარია!

მიხარია, რომ აღდგენილი საქართველო აფასებს ჩვენი საზოგადო მოღვაწე კორიფეების ნამოქმედარს.

მარად სახსენებელნი არიან ის პირნი, რომელნიც სამგლოვიარო ხანაში აჟღერებდნენ ჩანგს და იმედს უღვიძებდნენ დატანჯულ ხალხს გულში.

თორემ დღესასწაულის დროს — სიმღერა ადვილია და საქართველოს არ შეუძლია უყურადღებოდ დასტოვოს თითქმის ოცდახუთი წლის სამწერლო მოღვაწეობა ბელეტრისტ დავ. კლდიაშვილისა, რომელმაც შექმნა ქართულ ლიტერატურაში მთელი გუნდი კლასიკური ტიპებისა.

ქართველი მწერლები რომ ქმნიდნენ ნაწარმოებს, მასალას იღებდნენ იმ კუთხიდან, სადაც იყვნენ დაბადებულ-აღზრდილნი და სადაც უფრო დაწვრილებით შეეძლოთ შეესწავლათ ფსიქოლოგია ადგილობრივ მკვიდრთა.

მოხევე ყაზბეგმა გაამდიდრა ჩვენი ლიტერატურა თავის მხატვრულ ნაწარმოებით; მან მოგვცა ტიპი მთიელისა, მშვენიერ და მედიდურ ხასიათის და ბუნების.

უკვდავია გურული ნინოშვილი — მან მოგვცა ტიპი დატანჯულ გურულისა.

გენიოსურია ილია ჭავჭავაძე. მან უკვდავ ჰყო ტიპი კახელ ლუარსაბისა.

სკეპტიკი არაგვისპირელი დასეირნობს ქართლში და თავის ეტიუდებით გადმოგვცემს დატანჯულ ქართლელის ფსიქოლოგიას.

მარად საამო მემატიანენი არიან ქართლისა ს. მგალობლიშვილი, მელანია და სხვა.

ისტორიულმა მწერალმა ვ. ბარნოვმა თავის რომანებით გაგვიცოცხლა და გაგვიმშვენიერა არქეოლოგიურ-ისტორიული საქართველო... მხოლოდ აკაკი მოეხვია თავის გენიოსურ კალმით მთელ საქართველოს და დროებით დაუშრო ცრემლი.

.იმერეთი?

აი, იქიდან მოგვესმა ხარხარი დავ. კლდიაშვილისა. მან შექმნა რეალური ტიპი იმერლისა.

ბელეტრისტიკაში იგი იუმორისტიც არის და დრამატურგიც. იუმორი მისი ეხება საზოგადოების ყველა უარყოფითი მხარეს.

ტრადიციები, ცრუმორწმუნოება, მკითხაობა, ბარბაროსობა—აი საგანი მისი იუმორისა. მაგრამ, როდესაც იგი ხვდება მსხვერპლებს, მისი იუმორი გადადის ცრემლებზე.

მე არ შევეხები დაწვრილებითი განხილვას დ. კლდიაშვილის შემოქმედებისა, მიმინდვია კრიტიკოსებისთვის.

მაგრამ მე მინდა შევეხო ერთ მოვლენას მისს შემოქმედებისა, რომელსაც ბევრმა კრიტიკოსმა გვერდიც კი აუხვია. ეს—ქალის დრამაა.

ძველ დროს, როდესაც ქართველის გული და სული სავსე იყო რაინდული მისწრაფებით, იგი დიდი პატივისცემით ეპყრობოდა ქალის უფლებას.

ბარბაროსმა რუსეთმა ჩვენი ოჯახიც გააბარბაროსა.

რუსეთში ქმარი ყოველთვის დესპოტი იყო თავის ცოლის მიმართ.

და ცოლი ამ მიზეზით შორდებოდა ოჯახს.

გაყრამ მასიური ხასიათი მიიღო და იმ სახელმწიფოში, სადაც მკვიდრი ოჯახი არ არსებობს, თითქმის იგი ისპობა ისტორიის ფურცლებიდან.

ასე დაემართა რუსეთსაც.

საუბედუროდ საქართველომაც შეითვისა ეს ზნე.

მე 19 საუკუნეს, ჩვენში ცოლი, განსაკუთრებით პროვინციაში და ხშირად ინტელიგენტურ ოჯახებშიაც, იჩაგრებოდა, როგორც ქმრის, აგრეთვე დედამთილის დესპოტობით.

დ. კლდიაშვილმა მხატვრული სილამაზით გადმოგვცა თავის მოთხრობის „მსხვერპლის“ გმირ მარინეს სულიერი ტანჯვა.

უკანასკნელი, მიუხედავად საშინელ ბრძოლისა, ხდება მსხვერპლი ქმრის და დედამთილის ცრუმორწმუნეობის და ბარბაროსობისა.

დ. კლდიაშვილმა აწია დროშა ქართველ ქალთა უფლების აღდგენისა—და სრულ უფლებიანი საქართველო შესძახის ვაშას ამ უფლებას!

დანარჩენი მისი იუმორისტული ტიპები: დარისპან, სპირიდონ და მრ. სხვ. დიდხანს იარსებებენ, სანამ საზოგადოება არ განთავისუფლდება აღნიშნულ სამწუხარო მოვლენებისაგან.

ლიტერატურული ენა დ. კლდიაშვილისა—პირველხარისხოვანია; ენის მხატვრობაში და სისუბუქეში ბევრი თანამედროვე კლასიკი დაუთმობს მას.

ეხლა მწერალი მოხუცდა. ხშირად ავადმყოფობს, განიცდის საშინელ ნივთიერ გაჭირვებას, ნახევრად მშიერია...

მაგრამ ღიმილი კი არ შორდება...

გული უხარის, რომ მოესწრო სამშობლოს აღდგენას.

და მისი საყვარელი სამშობლო, მიუხედავად რამოდენიმე პესიმისტისა, ეტყვის მას მადლობას და ნივთიერადაც გაუთბობს გამხდარ, ავადმყოფ ძვლებს.

სვ. წერეთელი.

# ქართული პოეზია

(1919)

გასულმა წელმა ქართულ ხელოვნების მოედანზე მრავალი ხელოვნური ნაწარმოები გამოამზეურა. ზოგიერთებმა ეს წელი ქართულ ხელოვნებაში და კერძოდ—პოეზიაში რენესანსის დაწყების დატათ აღნიშნეს. ნაფიც მსაჯულებს ხელოვნებისას დაფნის გვირგვინი არ ემეტებათ, და ვინ იცის, ვის არ შესთავაზეს იგი.

ქართულ ხელოვნებას რომ მსაჯული არა ჰყავს—ეს, სადაო აღარ უნდა იყოს. რადგან მსაჯულობა თვით შემოქმედთა ნაზ-მგრძნობიერებას დაეყრდნო და პროვნების ღრმა სიუხვე სრულიად განკერძოებით დასდგა ხელოვნებიდან, გასულ წელში მკითხველი ათას პანეგირიკს შეხვდებოდა ქართველ მგოსანთა მიმართ. აქ ვითომდა ცდა იყო, რომ მუდამ დრტვინავ ბესარიონ ბელინსკის ნაცადი გზა არ დაეკარგათ და ლერმონტოვის მსგავსი ტიტანიური ობოლი სული აღმოეჩინათ, დაებადათ ქართულ ხელოვნებაში. მაგრამ ძველი ნაცადი გზა გამოუსადეგარი გამოდგა. ჩვენ ბელინსკის გვაშორებს ასი წელი. ამ დროს განმავლობაში-კი, როგორც აზროვნობაში ისე სოციალურ მოძრაობაში, ახალი ტენდენცია გამეფდა, ახალი სიუხვე ძალების, ახალი მასიური შემოქმედება.

ადამიანი ბუნების და სოციალიზმის ექვივალენტია, მისი შემოქმედებაც ორბიტია იმ კითხვების, რომელსაც ასაზრდოებს ბუნება და საზოგადოებრივობა. მაგრამ განა საშუალო საუკუნოების კლასიკურ პერიოდის და ტრუბადურების მარტივ ფერებით და სიტყვათა მქნელობით ამოიწურება ჩვენი ორთქლის და ელექტრონის, ჰაეროპლანების და მოტორების საუკუნე; განა დღევანდელ საზოგადოებრივ სცენაზე შეუძლიათ თვალი გაახილონ მარკიზ პოზებმა, მაკბეტებმა, ჰამლეტებმა და სააკაძე-ერისთავებმა?

ეს ხომ სასაცილო მინიატიურა იქნება?!

რამდენათ სადა და სარწმუნოა სიყვარულის გენიის ასახვა საშუალო საუკუნოების მწერლობაში, იმდენად რთულია და იშვით დასარელი ედგარ პოეს ნაწერები.

თვით სადა იყო ცხოვრება, სადა იყო სინამდვილისა და ოცნების შეხამება-შეგუებაც.

დღეს შეუძლებელია მწერალი ხელოვანი საზოგადოებრივ რაობის სრული პორტრეტი იყოს. შეუძლებელია, რადგან მრავალ-ფეროვნობა სასტიკი წინააღმდეგობა, საზოგადოებრივ სხეულის მალულ და აშკარა ღელვაში ნებას არ აძლევს, პიროვნება მთლიანი-კი დევიზია მთელი ისტორიის შარა-გზაზე.

მგოსანიც ერთს დარგში—ერთს ცხოვრებაში. მთელი რიგი მგოსან-ხელოვანთა გამოხატავენ საზოგადოების სულიერ სწრაფვას და შემოქმედებას, კერძო პიროვნებას კი დღეს ეს არ ძალუძს.

სოციალობა წინააღმდეგობათა მორევია, ამ დებულებას დღევანდელი ხანა უფრო აშკარავებს. და, აი, ამ წინააღმდეგობიდან თავისუფლდება ხელოვანი, და იგი ხდება ერთის პოეტად.

ენციკლოპედიზმი მოკვდა, როგორც საზოგადოდ მეცნიერებაში, აგრეთვე პოეტურ შემოქმედებაში, პოეზიაში. ამიტომ უსაფუძვლოდ უნდა ჩაითვალოს ივ. გომართელის მოსაზრება, რომ დიდი პოეტი საუკუნეთა გამომხატველია თავის ეპოქისა. (იხ. კრ. „ლეილა“ ივ. გომართელი „საათნოვა“ ი. გრიშაშვილი).

დღეს საზოგადოებრივმა განვითარებამ ასეთი ტერმინი მოგვცა „ერთის პოეტი" წარსულ ხანის სტატიკა ადგილს უთმობს დინამიკას და აქ სწორედ კვდება ენციკლოპედიზმის იდეა.

ხელოვნება და კერძოდ პოეზია სოციოლოგიურ კანონებს ემორჩილება. კლასთა ბრძოლა წარმოშობს ორ დიამ ტრალურად მოწინააღმდეგე იდეოლოგიას ხელოვნებაც ერთი დარგია იდეოლოგიისა.

იყო ხელოვნება ბუდდიური, ქრისტიანული, ისლამიური, არის პროლეტარული, ბურჟუაზიული *). სულ სხვაა ის საშუალებანი, რომლითაც ამა თუ იმ კლასის ხელოვანი შლის. ჩვენში კარგად ცნობილი მიმართულება (სახელით მაინც) სიმბოლიზმი და ფუტურიზმი ბურჟუაზიული კლასის და საზოგადოების კუთვნილებას არ შეადგენს იგი საშვალებად თუ მივიღეთ.

ჩვენს ლიტერატურაში და კერძოდ პოეზიაში კრიზისი დღეს არის არა იმ მხრივ, რომ შემოქმედება არ იყოს, არამედ თვით საერთო მიმართულებაში. ჩვენ არ გვყავს ქალაქის მგოსანი, არა გვყავს ხელოვანი პროლეტარი, რომლის შემოქმედებაც მთლიანი და ფერადი იყოს. გ. ქუჩიშვილი, ვ. რუხაძე თავიანთ პოეზიით გარდატეხის ხანას უფრო ეკუთვნიან. პროლეტარულ მასას-კი ეზიზღება თავისი თავი, მუდამ ჭვარტლიან და ნესტიან სარდაფებში, სინამდვილის ოცნება სასურველობასთან შეგუება—შეხამება ბურჟუაზიული. მწერალ-ხელოვანი დახატავს კედელს და დააწერს „სამინელება" და აქ წერტილს სვამს. პროლეტარულ ხელოვნების წარმომადგენელმა-კი გამოსავალი უნდა ძებნოს, მარა არა პუბლიცისტიკით.

შესაძლოა, და ჩვენც შევეცდებით მის გამოაშკარავებას, რომ ქართული პოეზია ბევრს მარგალიტებს ინახავდეს, მაგრამ ჩვენ ვამბობთ მასიურ შემოქმედებაზე, რომელიც დამახასიათებელია დღევანდელ სოციალურ რაობისა.

ჩვენს ახალ პოეზიაში ფილოსოფიის ელემენტები ძლიერად მოიპოვებიან. მაგალითისთვის დავასახელებთ გ. ტაბიძეს, ვ. გაფრინდაშვილს, ს. აბაშელს—მათს შემოქმედებას.

მაგრამ კიდევ გვინდა ხაზი გაუსვათ იმ მოვლენას, რომ ჩვენში პოეზია ძიების გზაზეა; იგი ეძიებს, როგორც შინაარსს, აგრეთვე ფორმას.

ხოლო ეს ძიება ძლიერია როგორც მკითხველებში, პასიურ შემომქმედებში,—რასაკვირველია აქ იგულისხმება არა—чтецъ forlaiser, ისე აქტიურ მგოსნებში.

თუ როგორი ძიების ტენდენციებია ქართულ პოეზიაში,—ამაზე შემდეგ.

პ. კეკელია.

---

*) ამ აზრს არ ვიზიარებთ. ამაზე როდისმე მოვილაპარაკებთ. რედ.

# თოვლის ფიფქები

(თარგმანი)

ცვივა, მოფრინავს ნაზი, ლამაზი ფიფქები თოვლისა...

ერთი მეორეს ეჯიბრება, თითქოს სურს ყველაზე უწინ დაეცეს მიწაზედ უკუნეთ ციდან... ეჩქარება,—სურს ჰნახოს ცხოვრება, ალერსი ადამიანისა...

აი, ერთი სხვებსავით სუფთა და ნაზი დაეცა მიწაზე და იმ წამსვე გაჰქრა ერთ ლაფიან გუბეში—უგზო-უკვლოდ, სამუდამოდ...

მეორე დასცინოდა მას და ისიც ისეთივე ნაზი იყო...

ტრიალით და სიცილით ისიც მოესწრაფოდა საცხოვრებლად, სიყვარულით დასატკბობლად...

დაინახა ამ ფიფქმა პატარა ახალგაზრდა გოგონა და მიეკრა მის ნაზ სახეს სანგრძლივის კოცნით...

დადნა იგიც... დადნა...

და დარჩა მხოლოდ ერთი წვეთი, გამჭვირვალი და წმინდა, როგორც ცრემლი...

ჩაცურდა ქვეით...

ეს ფიფქიც მოკვდა...

გაიგო ცხოვრება და მოკვდა...

და სწორედ ამ თოვლის ფიფქებისავით ყველა ეშურება სიხარულით და ცეკვა-თამაშით მიწაზე მოსვლას, ჩქარობს დასტკბეს სიცოცხლით და ბედნიერებით...

მაგრამ...

ყველა უხმოდ ინთქება, ჰკვდება...

არჩილ მაჭავარიანი

# „ნილაბ-ქვეშ"

თანამედროვე დრამა სამ მოქმ. **ნ. გერგესელისა.**

თბილისის მუშათა კლუბში იანვრის 18 პირველად დაიდგა ხსენებული პიესა.

პიესის შინაარსი მოკლეთ ასეთია: როსტომი, ძველი დროის პოლკოვნიკი, წინააღმდეგობას უცხადებს ახალ ხანას—რევოლიუციას. მისი ბიუროკრატიული სული ვერ ეწყობა ამას: იცის რომ რევოლიუცია მას პრივილეგიებს წაართმევს და სწორედ ეს შეგნება სიმშვიდესართმევს.

კოტე, მისი ვაჟი, ვერ შეგუებია ამ ოჯახში შექმნილ ატმოსფეროს, დაუტოვებია და გარდახვეწილა მუშათა წრეში, სადაც მან დაიმსახურა მუშების სიყვარული, სიმპატია, და გახდა მუშათა მოწინავე.

მეორე ცოლი როსტომის, ნინო, ინახავს ყოველივე საიდუმლოს მთელი ოჯახისას, ამავე დროს ქმრის ფარულად ეტრფიალება ამ ოჯახის ჰერ ქვეშ შეხიზნულ ზეგლარს, რომელმაც კიდევ უფრო ვრცლად იცის ამ ოჯახის საიდუმლოება მთელი ოჯახი თითქმის ნილაბს ატარებს, ყველა წევრს ოჯახისას აქვს თავის საიდუმლო, რომლის ერთ-ურთთან დაფარვას ყოველივე საშუალებით ცდილობენ.

ამავე ოჯახშია მრავალტანჯული მირო, რომელიც გამოუყვანიათ პანსიონიდან მხოლოთ იმისთვის, რომ წაერთმიათ ქალური უბიწოება. ეს ასეც მოხდა: ამ ოჯახის უმცროსმა ვაჟმა პორუჩიკმა სვიმონმა, ნამუსი აჰხადა. მარო ამ ოჯახში სრულიად უთვისტომოა, ობოლი, აქ ვერ პოულობს სულის დასაყრდნობს! ნამუს-ახდილი, იტანჯვის სულიერად, მაგრამ ამ ტანჯვას გულში იკლავს!.. მუდამ სევდიანია, ფერ-მკრთალი, მისი ტანჯული სახე შავ ბნელ წარსულზე ბევრს მეტყველებს. სვიმონი სულით არ არის ბოროტი, იგი მხოლოდ წრემ წაახდინა, რომელშიაც იზრდებოდა; მაროს ჯვრის წერასაც პირდება, მაგრამ აქ ახალი წინააღმდეგობა სინდისის სახით აღიმართა მის წინაშე, რომელიც თან მოიტანა კოტეს 7 წ. შემდეგ ოჯახში დაბრუნებამ. მოხდა რევოლიუცია, ძველი წესწყობილების გარდაქმნა. კოტე მხიარული, უზომოდ აღფრთოვანებული ბრუნდება მამის ოჯახში,—ყველა მხიარულობს მისი დაბრუნებით, მამა როსტომი კი ვერ არის კმაყოფილი, მას არ სწამს თავის შვილი, როგორც მუშათა მოწინავე.

— მამა!—ეუბნება ის დაბრუნებისას როსტომს: მართალია ეს საერთო ცვლილება, ცხოვრების ასეთი გარდაქმნა, შენს სულ შეაშფოთებს, მაგრამ უნდა სძლიო ყველაფერს, უნდა შეურიგდე.

როსტომს არ უნდა დაიჯეროს ყველა ეგ. გაკადნიერებული უმცროსი ვაჟი სვიმონიც არ იზიარებს მამის მსოფლმხედველობას, და მამის ბრძანებას თავის პაგონების მიწაზე დანარცხებით უპასუხებს.

— აჰა, ეს პაგონები, მე დღეიდან უბრალო მოქალაქე ვარ, და როგორც პარუჩიკი აღარ ვემორჩილები შენს ბრძანებას, როგორც პოლკოვნიკისას.

როსტომი სამსახურიდანაც გადააყენეს. მის მხრებს აღარ ამშვენებს პაგონები, ერთს დღეს ბრბოსაც უვარდება ხელში და, თუ ამ დროს მარო არ შესწრობოდა, აუცილებლათ წუთისოფელს გამოასალმებდენ.

კოტეს მოსვლამ მაროს ცხოვრებაშიაც იქონია გავლენა. მის სევდიან გულში კოტე მერცხალივით აჭიკჭიკდა. კოტეს დაუღალავი საქმიანობა და საზოგადო მოღვაწეობა მისთვის სანუკვარია, მაგრამ წარსულის მოგონება კოტეში ნახულ აღფრთოვანებას საგრძნობლად ჩრდილავს... კოტეს უყვარს იგი და სთხოვს ცოლად გაჰყვეს, მაგრამ მარო უპასუხებს.

— მე განა ღირსი ვარ შენი მეგობრობის, შენი ახლო ყოფნის!? მე ხომ ყველაფერი წამართვეს, როგორც ამპარტავნობა ისე სიყვარულის გრძნობა, მე დღეს მკვდარი უნდა ვიყო, მაგრამ ხომ ხედავ კიდევ მიდგას სული.

განცვიფრებული კოტე სთხოვს უთხრას, ვინ არის დამღუპველი,

— ის ომში—მოჰკლეს,—უპასუხებს მარო,—აქ მან საშინლათ იცრუა: არ გასცა ძმის თვალში მისი შეურაცმყოფელი სვიმონი.

— არა, შენ მაინც ჩემი უნდა გახდე, ეუბნება კოტე—ჩვენ დავიწყებთ ახალ ცხოვრებას, ხელი-ხელ ჩაკიდებული ვიმუშავებთ საზოგადო საქმისათვის!..

გადაწყდა: კოტე მთელ ოჯახს აცნობებს თვის ბედნიერებას, ჯვრის წერა მოახლოვებულია. თავზარ დაცეული სვიმონი ეძებს გზას თავისი დანაშულის გამოსყიდვისას, მას სინდისი ჰქეჯნის.

— როგორ, შენ კოტეს ცოლი უნდა გახდე? ეკითხება ის მაროს, აქ მას შურის-ძიების გრძნობა კი არ იპყრობს, არამედ ვერ შერიგებია გარემოებას, რომ ის დანაშაულია მაროს წინაშე: მან მაროს წაართვა ქალური დიდება, სიამპარტავნე მისი სიამპარტავნე ფეხ-ქვეშ გათელა, და ეს გათელილი, არა-რა მარო დღეს ღირსეულ ადამიანის კოტეს ცოლი ხდება.

ეს არ იცის კოტემ... მაგრამ

— მარო! ეუბნება სიმონი: შენ უთხარი კოტეს, რომ მე შევლახე შენი ღირსება?

— არა,—მე კიდევ შემწევს იმდენი ძალა, რომ ეგ საიდუმლო არ გავამხილო—ნურც იტყვი, მხოლოდ მე, მარო, უნდა წავიდე, გადავიკარგო აქედან, სინდისი მტანჯავს, წავალ, დავიკარგები! რა თვალით უნდა შევხედო კოტეს, რა თვალით გიცქირო ან შენ.

მზათაა ყველაფერი უთხრას კოტეს, მაგრამ იწყებს ვერ ათავებს, მასში საშინელი ბრძოლაა... ვინ იცის, რომელი გრძნობა დასძლევდა მასში, რომ ბეგლარის „რედაკციისადმი“ მოწერილს წერილს არ ეთქვა ყველაფერი. ბეგლარმა შური იძია ნინოს თვალში: განიძრახა როსტომის მიწასთან გასწორება, დამდაბლება საშინელ საიდუმლოების გამოაშკარავება. უსახელო წერილი გაუგზავნა რედაქციას, რომლის შინაარსი როსტომის წარსულსა და პიროვნებას ეხება. ეს წერილი ჯარის კაცთა თავჯდომარეა კოტეს კარგ მეგობარ ილოს მოაქვს კოტესთან, აცნობს წერილის შინაარს: წერილის კითხვას სვიმონი ყურს უგდებს. წერილში ნათქვამია, რომ როსტომს წინად კავშირი ჰქონდა ერთ ახალგაზრდა გიმნაზიელ ქალთან, რომელიც შემდეგ დასტოვა.

დედამ პატარა ბავშვი, რომელიც როსტომისგან შეეძინა, ქუჩას მიუგდო, თვით კი თავი მოიკლა. კალათში, რომელშიც ნახეს დედათა სქესის ბავშვი, ჩაყოლილი ჰქონდა დედის წერილი: „შეიბრალეთ, უთვისტომო ბავშვი მას არვინ ყავს; დედამ ვერ აიტანა დამცირება და თავი მოიკლა“. ბავშვს უბეში აღმოაჩნდა პატარა ქაღალდი, მისი სახელი და გვარი ზედ განგებ წაშლილი,—ჩვენ ეს წერილი არ დავბეჭდეთ, ვინაიდან როსტომის ასეთი დამცირება, რა თქმა უნდა, მთელ ოჯახს ეხებოდა,—ამბობს ილო; აქვე ირკვევა, რომ ეს წერილი რედაქციისადმი ბაგია ხელით ნაწერია.

სვიმონს საშინელი ცნობისმოყვარეობა იპყრობს, მის სულს კიდევ მიუმატა ერთი გამოსაცნობი ამოცანა და მაროს თხოვს უთხრას მისი წარსული.

— ჩემი წარსული! რაში დაგჭირდა ყველა ეს? იმის მოგონება ჩემთვის სამძიმოა, ნუ მთხოვ, სვიმონ.

— არა, არა! მარო მე მინდა ვიცოდე შენი ნამდვილი სახე... წადი, მოიტანე ის ყუთი, რომელშიაც სხვა ბარათებს შორის აღმოჩნდა დედის უკანასკნელი წერილიც.

— მე ქუჩაში მნახეს, დაიწყო მარომ.

— მერე შენთან იყო რაიმე წერილი? სიტყვასართმევს სვიმონი

— იყო, დედას სიკვდილის ჟამს დაეწერა წერილი, რომელიც ჩემ კალათში ჩაედო.

— მერე რას სწერდა?

— „შეიბრალეთ უთვისტომო ბავშვი, მას არავინ ყავს, დედამ ვერ აიტანა მისი ტანჯვა და თავი მოიკლა!..“

— შენ წერილს ხომ არ კითხულობ?..

— არა, მაგრამ მე ზეპირად ვიცი დედის უკანასკნელი სიტყვები, ესენი ხომ ჩემს გულში არას დროს არ ამოიშლებიან და მწარე სიმბოლოდ დარჩა ჩემში. აი აგერ წერილიც.

— ვისი წერილი?

— მე რომ თან მქონდა კალათში, დედისაგან
— შენი სახელი და გვარი არ ეწერა შიგ?
— ის განგებ წაეშალათ!

აქ სიმონს საშინელი ღრიალი აღმოსკდება.

— დაო, უბედურო დაო! მითხარი, მამა ვინაა ეს ქალი? . ეს ხომ ჩემი დაა, მკვიდრი და. . ეჰ . საზიზღრობავ!

სვიმონი თავზარ დაცემული გავარდება გარედ, ადაც ტყვიით იგმირავს გულს .. როსტომი ვერ იტანს ამ საშინელ ამბავს .. და გაშეშებული სავარძელში ეცემა.

საერთოთ პიესა ბევრს მეტყველებს მორალურ სივაქიზეზე, მის ღირსება-ნაკლოვანებაზე, მაგრამ ადამიანის ღირსება პიესაში ნაჩვენებმა ოჯახმა, კოტეს გარდა, ვერავინ დაიცო, მთელი მათი ბნელი მოქმედება ნიღაბს ატარებს. პიესის მთელი კვანძი დიდის დაკვირვებით დაკულია. ეტყობა ავტორ სცენის ტეხნიკური მხარე კარკად შესწავლილი აქვს. აქ მოქმედება სავსებით შეფარდებულია გამოთქმასთან, ყოველივე განცდა სიხარულისა თუ ტანჯვის და ცვალებად მოვლენებთან. ავტორი გვაძლევს საბაბს ვიფიქროთ, კიდევ მრავალ პიესას შეჰქმნის და თავისი დრამებით თვალსაჩინო ალაგს დაიჭერს ჩვენს დრამატურგიაში.

ალმასრულებელთა შორის: როსტომ (ციციშვილი) ვერ იყო ნამდვილი განსახიერება ძველი სასტიკი პოლკოვნიკის თავისი ბიუროკრატიული სულით, მისთვის დაუჯერებელი მოვლენა მეტის ხაზგასმით უნდა გადმოეცა; საერთოთ კი არა უშავდა. ნინო (ქ-ნი გორდელი) კარგი იყო ზოგიერთ ადგილებში, დიქცია და მიმიკა საკმაოდ ელს უწყობს, მხოლოდ როლის უცოდინარობა ეტყობოდა. ბეგლარი (გუგუშვილი) თითქმის უნაკლო იყო, მან აუცხოვოდ მთლიანად გადმოგვცა გაიძვერა და უზნეო ადამიანის ტიპი. კოტე (კრავეიშვილი) კარგი იყო პირველ მოქმედებაში, დანარჩენში მოისუსტებდა. სიმონი (კ. კვერაძე) ზოგიერთ ადგილებში შეუდარებელი იყო, უფრო კი უკანასკნელ მოქმედებაში. საერთოდ მან ვერ დაგვიხატა ნამდვილი სიმონი; სინდისის ქენჯნა მკრთალად გადმოგვცა; მას თითქოს რაღაც მოკრძალება ეშჩნეოდა. მარო (ნ. ბერძენიშვილი) კარგი იყო კოტესთან საუბრის დროს, სადაც ის ნაწყვეტ-ნაწყვეტად ფარდას ხდის თავის შავ-ბნელ წარსულს, თუმცა მან სავსებით ვერ შესძლო დაეხატა მისი გულის ტკივილები, მაყურებელში ვერ აღძრა სიბრალული თვისი შავ-ბნელ წარსულის გადმოცემით.

საერთოდ ეს ახალგაზდა სცენის მოყვარე ქალი დიდს იმედებს იძლევა, მიმიკა და დიქცია საკმაოთ ხელს უწყობს. ილა (ლომაური) ვერ იყო თავის ალაგს: არ უვარგოდა მიმიკა, როლი ხომ სრულებით არ იცოდა.

ავტორს შესაფერი სახელი გამოუძებნია ამ დრამისათვის „ნიღაბ ქვეშ“ და მართლაც ამ ნიღაბს უკანასკნელ მოქმედებამდის სახიდან არავინ იხსნის, ყველას ეშინია მისი ჩამოხსნის, ნამდვილი სახის გამოჩენის.

იმედია, ეს პიესა უფრო დიდ სცენებს იხილავს საუკეთესო მსახიობთა მონაწილეობით და მით ავტორის იერ დასახულ მიზანს მიაღწევს.

**დ. ბაისოშვილი**



ჰ ა ზ ი რ ა დ ა ს ტ ი თ

ძველი სახელმოხვეჭილი აშული საქართველოს შვილი, ქართველი გრიგორიანი, რომელიც ორმოც წელიწადზე მეტი შემღერდა საქართველოს აღდგენას. ცნობილია მისი ,,ალსდეგ თამარ დედოფალო“, ,,შავი-ზღვის ნაპირას,“ ,,მარტის თვე“ და სხ.

# 40 წ. წინათ ჰაზირას ნანატრი

ჰოი, სამშობლოვ კვლავაც გნახო კრებული,
წინანდელისავით განათლებული!
მეომარნი გმირნი გყვანდეს ქებული,
მტერი შენგან ვნახო დამარცხებული.

უწინ შენნი არავინ არა სწუხდა,
წვიმა სხვისთვის მოვიდა, შენთვის ჰქუხდა!
გახსომს ოდეს ხტოდი, სისხლი გიდუღდა,—
ვეღარ იძვრი, დარჩი განელებული...

ახ, როს გნახამ შენ ალაგას დგებოდე,
ქვეყანაში კაცად იხსენებოდე,
შენი შვილების სიყვარულით ძღებოდე,
აღარ იყო მტერთაგან დაჩაგრული...

ბრძენი იყავ, რად დაკარგე გონება,
შენ გასაწყლდი, სხვას უძლევენი ქონება...
ვის ხელშია შენი სარჩო, ცხოვრება,
აღარა ხარ მტკიცეთ დამკვიდრებული...

სანამდისინ გწყალობდა შენ უფალი,
ყველგან იყო მხნეთ საქართველოს ძალი,
დავით მეფე და თამარ დედოფალი
ქვეყანაზე იყვნენ გამარჯვებული.

ნეტარ მოვა ის დღე, რომ კიდევ ნახონ
მტერნი ჯავრითა მკვდრათ დაისახონ,
ქართლ-მამაცთა ერთ ხმათ დაიძახონ:
დღეს მოგვეცა შვება დამტკიცებული.

ვგონებ ვნახოთ, არ არის გასაკვირი,
თუ რომ ჩვენა გვლოცამდეს უფლის პირი,
ცოდვის პირით ვთხოვ მე ღმერთსა ჰაზირი,
საქართველო ნუ აქვს დავიწყებული!..

**ჰაზირა**



ნიკო ნიკოლაძე

სახელგანთქმული პუბლიცისტი, რომელმაც საქართველოს აზროვნება ევროპას აზიარა.

# მეც მასთან ერთად მკვდრეთით აღვსდექი!

ჩემო ძვირფასნო ძმანო და მეგობარნო, ვისაც კი გიძგერთ ქართველი გული, მოდით, მომეხვიეთ და მომილოცეთ, რომ მეც დღეს, ჩემ ძვირფას სამშობლოსთან ერთად, მკვდრეთით აღვსდექი!

ჩემ დაუვიწყარ შვილ მიტოს ბრძოლის ველზე დამკარგავი, აგერ ოთხი წელიწადია ლოდინათ ვარ ჩავარდნილი და თითქმის ცოცხლებში აღარ ვერიე, მაგრამ დღეს, დღეს, როცა ჩემი საყვარელი სამშობლო, კოხტა, ბეკლუცი, ლამაზი საქართველო ზეიმობს განთავისუფლებას, მკვდრეთით აღდგომას, როცა დიდი ხნის ნატვრა, მუდამ განუშორებელი ფიქრი და ოცნება ჩემ უდროოთ დაკარგულ შვილისა ასრულდა, მეც პირადი მწუხარება აღარ მმართებს, მეც სიხარულის ცრემლებით მევსება თვალები და მკვდრეთით ვსდგები!

ვაშა ქართველს შვილებს, რომელთაც მიაღწიეს სამშობლოს განთავისუფლებას! ვაშა მათ დედებს, რომელთაც ჩაუნერგეს მათ ეს განუსაზღვრელი სიყვარული სამშობლოსადმი!

სად ხარ შვილო მიტო, ადრე და ძალიან მოწყვეტილო ყვავილო, ბრძოლის ველიდან რომ მწერდი „სჯობს სიცოცხლეს ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი“-ო? ეხლა ესაჭიროება შენი ძალ-ღონე, შენი სიჭაბუკე, შენი სიმტკიცე ძვირფას სამშობლოს, რომლის სიყვარული მამაპაპათგან გქონდა ჩანერგილი!

მაგრამ რადგან ულმობელმა ბედმა არ გარგუნა ეგ ხვედრი, რადგან დაუზოგველმა და დაუნდობელმა განგებამ ადრე გამოგწირა სიცოცხლე, მეც და ჩემი დანარჩენი შვილებიც, შენი უმცროსი ძმები, ვფიცავთ შენს ძეგლთან, რომ პირნათლად შევასრულებთ შენს მუდმივ ნატვრას—მთელ ჩვენს ძალ-ღონეს, სიცოცხლეს შევსწირავთ განთავისუფლებულ, მკვდრეთით აღდგომილ სამშობლოს აღორძინებას, ბედნიერებას!

**ნინო ჯორჯაძისა**

# ვანო საათაშვილის ხსოვნას

თუმც ვანო საათაშვილი ფართე საზოგადოებაში კარგად ცნობილი არ იყო, მაგრამ მისმა სიკვდილმა მცირე საზოგადოებას თავ-ზარი დასცა.

მახსოვს ის წუთები, მახსოვს ის დღე, როდესაც მე ის გავიცანი, როდესაც პირველად ვნახე, და მისი შეხვედრა ჩემის გულიდან ჯერ არ ამოშლილა.

მესამე კლასში ვიყავი საფერშლო სკოლაში, უკანასკნელი დღე იყო გამოცდებისა, როდესაც ვანო მოვიდა და გვითხრა: „ნუ შეშინდებით, თქვენც გეშველებათ. აი, ამ დღეებში შეიკრიბება ექიმის თანაშემწეთა და ბებია ქალთა კონფერენცია, სადაც გადასწყდება თქვენი ბედ-იღბალიო“.

და ფაცაფუცში იყო, რომ საქმე არ ჩაშლილიყო. უკანასკნელი შეხვედრა ჩემი მასთან ერთი კვირის წინეთ იყო, ვიდრე ავად გახდებოდა.

მუსაიფი მქონდა საღამოს გამართვის შესახებ. ჟურ. „ექიმის თანაშემწე“-ს სასარგებლოთ. მაშინ ჟურნალი მის რედაქტორობით გამოდიოდა. ვანო ყოველივე დახმარებას მპირდებოდა, მაგრამ არ დასცალდა.

ვანო ყველასთვის იყო, ყველას წინაშე მიუძღოდა მას ამაგი. მისი შრომა, მისი ამაგი, ნუ თუ უნდა დაივიწყონ ექიმის თანაშემწეებმა? არა! არამც და არა!

მისი ამაგი, მისი შრომა უნდა დააფასოს ექიმის თანაშემწემ, იმით რომ დაეხმაროს მის წვრილ ცოლ-შვილს, რომელიც დარჩა ობლად.

აი ამით დავამტკიცებთ მისდამი სიყვარულს, და მისდამი პატივისცემას. აი ამით დავამტკიცებთ მის შრომას და ამაგს.

საყვარელ ვანოს, როდესაც მიაწია მიზანს, როდესაც უნდა ეცხოვრა ბედნიერათ, მაშინ ულალატა ბედმა და ამით ჩვენც საუკეთესო მუშაკი გამოგვაკლდა.

მშვიდობით საყვარელო ვანო! შენ მოკვდი, მაგრამ სახელი შენი ისევ ჩვენთან არის.

საფერშლო სკოლის მოწაფე **შაქ. ჯიქიძე**



ლადო აღნიაშვილი

პირველ ქართულ ეროვნული გუნდის მომწყობი, სხვადასხვა წიგნაკების შემდგენელი და სამშობლოს თავისუფლების მოტრფიალე.

# დაკარგული ლექსი

სატრფოს სახსოვრად დაწერილი დავკარგე ლექსი;
ზეპირად ეხლა აღარ მახსოვს, ვერ მოვიგონებ.
ის იყო ჩემი გასართობი უძვირფასესი;
ვეძებ ოთახში და ვინ იცის კიდევ ვპოვებ?..

———

და იგი ლექსი ბროლის მკერდ ქვეშ ჩამონათალი,
ისე დააკლდა სამუდამოთ სამგოსნო რვეულს,
როგორც პირველი სიყვარული—გრძნობა მხურვალი
და სიამენი წუთისოფლის სულს დაობლებულს!..

ქნარი



სომეხთა მსახიობქალი მაისურიანი როლებში
ზეინაბი



ძველ ღმერთებში



**ხაშურის რაიონის 1903—1905 წ. სოციალისტები**
1, ნიკო სიხარულიძე; 2, სიმონ ბაბლიძე; 3, დარისპან თევზაძე; 4, ესტატე რატია; 5, ბესარ. ებანოიძე; 6, ის. თელია; 7, მარსაგოვი; 8, დავ. ქიტაშვილი და 9 ვანო მურმანიშვილი

# ნამუსიანი ხალხი

პიესა ერთ მოქმედებად თანამედროვე ცხოვრებიდან.

**მომქმედნი:**

**მიკიჩა**, მედუქნე— 41 წ.
**მარგო**, გასათხოვარი—19 წ.
**გასპარა**, დაშნაკელი—32 წ.
**სერიოჟა**, ბოლშევიკი—30 წ.
**თედო**, დეზერტირი—23 წ.

უბრალო დუქანი გზა-ჯვარედინზე სადგურის მოშორებით. მოედღევებულია.

**1. მიკიჩ, მერე სერიოჟა და გასპარა.**

**მიკიჩა** (ათვალიერებს ჯერ ერთ, მერე მეორე მხარეს) ვა, თითქო როველში იყვნენ დაპატიჟებულნი, რა დოსტოლრივ მოდიან! მერე რა ხალხია: ქვიდან ზეთს გამოსწურავენ!.. აი, ქირმა გზიდოთ, ქირმა!.. კიდევ უნდა ჩამათაქლამიშონ რაღა! ვა, ხათაა: ეს ბოლშევიკი ვარ—მიკიჩ, ქისა გახსენიო; ეს დაშნაკელი ვარ, მიკიჩ სომხის გვარი არ შეარცხვინო, ჯიბეს ხელიო; ეს მენშევიკიო... აი მგლებმა შეგჭამონ მგლებ... (სტუმარს ვეღარ ათავებს, რადგან მგზავრები მოახლოვდებიან)

**2 იგივე, სერიოჟა და გასპარა.**

**სერიოჟა** (შემოდის) მგლებმა შეჭამეს?

**მიკ.** (დაბნეული) ჰმ?!.. ჰო, ამბობენ ტყიდან მგლები მინდვრად ჩამოსულანო...

**სერ.** ვაი, ცხვრების ბრალი! (ხელს ჩამოართმევს)

**მიკ.** (ნაძალადევი სიცილით) ეგა ბრძანე და!

**გასპარა** (შემოდის) ბარი აჩოლუმ!

**მიკ.** ქილუს ბარი! ასე დოგა-დოგა საიდან, ვისგან?

**გას.** ეჰ! მოვდივარ რაღა! მთელი დუშეთი დამივლია, მთიულეთი, იმერეთი, საჩხერე, ბათუმი...

**სერ.** (ეჭვით შეხედავს) თქვენ საიდან?

**მიკ.** ვა, განა ამხანაგები არა ხართ, ერთად არ მოდიოდით? (სერიოჟა და სარქისა ერთმანეთს შეხედავენ ცნობისმოყვარეობით)

**სერ.** და **გას.** (ერთად) არა! (ერთმანეთს ხელს ჩამოართმევენ და გვარს ეტყვიან.)

**სერ.** რომელი პარტიისა?

**მიკ.** (გასპარას მაგიერ) სამი პერვი სორტ დაშნაკცაკანცკი სოციალისტიჩესკი პარტია ჩლენ!

**გას.** მე, ემე, სომხური რევოლიუციონნი პარტია დაშნაკცუთუნის ჩლენი ვარ.

**სერ.** ქართველები გაცალკევებას ფიქრობენ... საქართველოს დამოუკიდებლობა გწამთ? გრუზიუ პრიზნაეტე?

**გას.** ინჩე ასუმ? ვა, დაშნაკციუთუნი და საქართველოს დამოუკიდებლობა იწამოს? ეს ხომ საკუთარი ხელით თავის ყელის გამოჭრა იქნება? რის გრუზია, რა გრუზია,—ჭკვაზე აფრაკად ხომ არ არიან!

**სერ.** ვაშუ რუკუ, დარაგოი ტავარიშჩ გასპარ! ვინც საქართველოს თავისუფლებას ებრძვის—ის ჩვენი ამხანაგია.

**გას.** (აღტაცებით ხელს გაუწვდის) შატ მერსი?! ჩვენ რაღა ქრისტეს ჯორის ჩოჩრები ვართ, ჩვენც ხალხი ვართ თუ არა!

**სერ.** ზნაჩით ნაში უბეჟდენია... ასე ვსთქვათ, ჩვენი აზრი ერთი ყოფილა... ტავარიშჩ მიკიჩ, ღვინო... სამი კვარტი...

**გას.** ვა, სომეხი და რუსი ვის გაუყვია,—უერთმანეთოდ ჩვენი სიცოცხლე განა შეიძლება?... განა ნამუსი არ ტანს!..

**სერ.** მთელი ასი წელიწადი სისხლი ვღვარეთ, ვიომეთ, ვაშენეთ, ვაკეთეთ და ახლა ქართველებს უნდა მივცეთ!.. აბა, თუ მადა ჰქონიათ!

**გას.** შენ ჩვენი სთქვა: რაც, ემე, ქალაქ ტიფლისში სახლებია ჩვენია, ვაჭრობა—ჩვენია... რა ვი-



**ერმოლოზ სვიმონისძე ხავთასი**
მანჯურიისა და სრულიად ციმბირის ქართველთა სიეზდის წარმომადგენელი

ცი, რომელი ერთი ვსთქვა... მოდი და ყველა ეს დოყლაპია ქართველებს უსტუპაიტ!..

**სერ.** სჩორტა დვა! დიად! აი, რა უნდა უსტუპაიტ! (მუშტს მაგრა დაჰკრავს მაგიდაზე, რის გამოც კვარტიანები გადმოვარდება და ჭიქები დაიმტვრევა)

**მიკ.** (შემკრთალი) ვა, კნიაზჯან... (სერიოჟა შეუბღვერს; მიკიჩა უცებ შეისწორებს სიტყვას) ნიატ, იამუ, ტოვარიშჩ ბალშევიკჯან... ახარ, კვარტიანმა და სტაქნებმა რა დააშავა, ვსთქვათ, რომ საქართველო სტყუის?..

**სერ.** ჩტო, ჟალ? გენანება, აი შე ბურჟუავ, შენა!

**მიკ.** (შეშინებული) ვაიმე, ვაიმე! რაზი ია ბურჟუა? ია ნასტაიაჩი დემოკრატიჩესკი პოლორტაკ... პროლეტარ... გენანებაო? რის მენანება,—განა თქვენთვის სულს დავინანებ! ჰამა, მეორედ რო მეწვიოთ, ან თქვენისთანა ტავარიშჩები მობრძანდენ, რილათი მივართვა ღვინო?!

**სერ.** რილათი?—ლახანკით... ჰო, ლახანკით!..

**მიკ.** (შეხედავს გაოცებით, მერე სულელურად გაიდრიჭება)

**სერ.** (განაგრძობს იმავე კილოთი) ან იქნებ თავს იკატუნებ და შენც იმ სოციალ-მოლალატეების ამხანაგი ხარ, აი მენშევიკების პარტიისა, რუსეთს რომ ჩამოშორდენ...

**მიკ.** (შეშინებული) ვაიმე, ვაიმე! ბარემ გულში დანა დამეცი რაღა!.. ვისი კაცო, ვისი ამხანაგი?

**გას.** ვითომ ქართველებისაო...

**სერ.** ჟორდანია - რამიშვილ - წერეთელ - ჩხეიძის პარტიისა.

**მიკ.** მე?! ვა დაკაზატელსტვოს საქმე არ არის? (თან ახალუხის ღუგმებს ჩაიხსნის, უბიდან დიდ პორტმანს ამოიღებს, პორტმანიდან—ქაღალდს და სერიოჟას გაუწვდის) აჰა, ნახე!..

**სერ.** (დახედავს) აჰა, დაშნაკციუთუნის პარტიის ყოფილხარ?

**მიკ.** (ცოტა შემკრთალი) ჰო, ეგეც არის, მაგრამ დაშნაკელი და ბოლშევიკი ვის გაუყვია!.. აი თქვენი ბილეთიც... (მეორეს ამოუღებს და გაუწვდის)

**სერ.** (გამოართმევს, გაკვირებით) აჰა, აი სად გაები მახეში: მაშ შენ მენშევიკი ყოფილხარ!..

**მიკ.** (პირგატანაცემი, გამშრალი) ტერ-ასტვაწ, ტერვო-ლორმია... ახარ, სად წავიდა?!. (ეძებს) აბა, ესა ნახე...(მესამეს გაუწვდის)

**სერ.** (ჩამოართმევს) ჰო, ეს ჩვენია, ბალშევიკური, ბალშევიკების პარტიისა... მაგრამ ეს რა არის, ყველა პარტიის ბილეთები რომ გაქვს: იქნება ყველას ატყუებ?!.

**მიკ.** (კისერს იფხანს, იმშუშნება) რაც მართალია—მირთალი... უზურში ხანდისხან სხვა პარტიებსაც ვეტყვი ხოლმე: თქვენი ამხანაგი ვარ მეთქი... ეს, ემე, ასე ვსთქვათ, ხერხია რაღა, ტაქტიკა, რო მტერს შორიდან დაუბრმავო თვალები... მაგრამ გული მომიკვდეს, გული, თუ მე თქვენში გამოვერჩიო: სხეულით დაშნაკელი ვარ, სულით—ნასტაიაჩი რუსი და ისიკ ბალშევიკი... მაშ! ზნაიშ კაკოი ია პოლიტიკ ზნაიშ... ერთი ალებ-მიცემის კაცი ვარ,—ამისათვის კი რუსის ჟანდარმი თუ არა მყარაულობს, ისე რას ვიხეირებ... ესლი გრუზინცკი მუჟიკ სლაბოდნი ზდელაიტ ბუდით, უმნი ბუდით, მე რაღა ჯანდაბას მოვიგებ იმათაგან, როგორღა გავპარსავ!.. ჰამა, როცა რუსის ჩექმა ადგას,—ვენაცვალე იმის ქუსლსა,—მაშინ ყრუა ქართველი ტეტია, რამდენიც გინდა ჰკრიჭე, ნიკტო ატვეჩაიტს არ მოგთხოვს...

მაშ ახლა ბაზარს არ იტყვი?—სად მთელი რუსეთის გაშლილი ბაზარი, სად ერთი ბეწო საქართველო.. განა მშიერი ქართველის ჯანიდან გამოვა რამე!.. მერე ეს მამაოხრები ხანდისხან რომ წაიქეიფებენ ხოლმე, დანახარჯსაც არ იძლევიან...

**სერ.** ვსიო ეტო ტი დოლჟენ დელომ დოკაზატ...

**მიკ.** დელომ დოკაზატ?! მამაცხონებულო, რაც მე ტეტიებისთვის, არაყი დამილევინებია ჯარში ნუ მიდიხართ, სხვებსაც დაუშალეთ მეთქი, იმდენი შველა მეცა და თქვენც... რა სიტყვის პასუხია და აპიატ ვაი—ვუიტ?

**სერ.** რა ვაი—ვუიტ?

**მიკ.** ემე, ვაინა კიდევ ბუდით?!

**გას.** რა ვაინა, რის ვაინა!..

**მიკ.** აი, ბათუმისკენ რომ დაიწყეს...

**სერ.** შენ ყური უგდე, ბალშევიკებმა როგორ ჩაშალონ ეს ომი?

**გას.** განა საქმე ისე დაგვიჭერნია, რომ ქართველის ხმალმა კიდევ იპრიალოს? მორჩა, გათავდა, ახლავე უნდა მოელოს ბოლო საქართველოს მეთაურ ქონდრის კაცების პოლიტიკურ ლეკურს... რაც რუსეთს სურს--ის უნდა იყოს და ჩვენც იმათთან ვართ... ჩვენი პერვი სორტი რევოლიუციონნი პარტია დაშნაკციუთუნი ძველი რეჟიმის დროსაც რუსეთის ხელით ფიქრობდა ოსმალთაგან განთავისუფლებას და განა ახლა ჩამოეცლება? გაუმარჯოს რუსეთსა და მის მეთაურ ბოლშევიკებს,..

**სერ.** ბრავო, ბრავო...

### III იგივე და თედო

**თედ.** (შემოდის გაოფლიანებულ-გამტვერიანებული; სამი პატრონდაში—ჯვარედინად გულმკერდზე და წელზე, თოფი და ხელის ტყვიის მფრქვეველი ჯვარედინად გადაკიდებული; ელზე სამი-ოთხი სხვადასხვა ჯურა გრძელი პირსახოცი შარფად გამოკვანძილი, ორი საავადმყოფო ხალათი მხარზე, ტყვიისმფრქვეველ შორის; ტანზე ზედიზედ აცვია ჯარის კაცისსაზამთრო და საზაფხულო



გ. დეკანოზიშვილი და ასოთამწყობი მიხ. კიკნაძე

რომელთაც 1903 წ. პარიზში დაიწყეს ქართულ-ფრანგულად ჟურ. „საქართველოს“ გამოცემა და საქართველოს განთავისუფლების აზრები გაავრცელეს

---

რავდენიმე ხელი ტანისამოსი; ერთ მხარზე დიდი გაჭედილი მეშოკი, მეორე ხელით მოათრევს გაჭედილსავე მეშოკს) უჰ, ე ვერანა როგო დავილალე!.. (ბარგბარხანას დააწყობს) გამარჯობა ნათლი! (ხელს ჩამოართმევს, ჩამოჯდება და სახელოთი ოფლს იწმენდს)

**მიკ.** საიდან, ნათლულო?

**თედო.** ბათუმის პოზიციიდან...

**გას.** ვა, ვაინში იყავი!

**თედო.** (ამაყად) ვიყავი, მაშა! ცეცხლის ალში იგრე ვტრიალებდი, როგორც ყანი მკაში... (დააცქერდება გასპარას) აცა, მაცა... რა ვქნა, თუ ძმა ხარ, ძმა კაცო, ი შენ არ იყავი, რო გვიქადაგე: ომი არ გინდათ, ეგ ქართველთა თავადური მთავრობის მოგონილია, თოფები დაყარეთო... აი იქ, ბათუმში... აი ვენაცვალე შენი დედმამის სახესა, რო აგეთი ცოციალა გამოჰზდიხარ!.. (ხელს გამოუწვდის ტლანქად)

**გას.** (ცბიერი ღიმილით) მერე, მტერი გარეკეთ?!

**თედო.** გარეკეთო? რა ადვილი სათქმელია! განა სალდასტისთვის როდისმე გამოიდარებს?.. ძველი რეჟიმის დროსაც პრიკაზით მივდიოდით, ახლაც... მაგრამ ნიკსუ: ძველად თუ რაღაც ოხრობა დისციპლინა იყო, ახლა ეგ აღარ არის: როგო, მე ბოინში გამგზავნო, და შენ სამშვიდობოს ბრძანდებოდე, დიაღ გამითბა გვერდები!.. ჰო და როცა ასეა საქმე, მაშინ სალდასტიც თავის თავს უვლის! (გასპარას) თქვენი სიტყვის შემდეგ შევიკრიბენით, ჩიტინგი გავმართეთ და გადავსწყვიტეთ: არ ვიომოთო,— მორჩა და გათავდა...

**მიკ.** ვა, თათარი რო მოდის?

**თედო.** რის თათარი, რა თათარი!.. შენ უნდა ყური გეგდო ერთი ჩვენი ბალშენიკი ამხანაგისთვის!.. ჰეი, და, და, და! ი მამაცხონებულს პირიდან სუ თვალმარგალიტი სცვიოდა: „რის ომი, რა ომი, რა მტერი, რომელი მტერ!.. ეს თავადების მოგონილია, გლეხებმა მიწები არ ჩამოგვართვანო, ადგნენ და აქეთ-იქით ომი დაიწყეს, რომ ხალხი დააძინონო... დაყარეთ იარაღი და თქვენ—თქვენს სახლებს მიხედეთ, ხელს არავინ გახლებთო...“

**მიკ.** მერე თქვენა?

**თედო** ჩვენა! ჩვენ რაღას ვიზამდით: სულელი ვინ იქნებოდა ერთი დამთხვეული აფიცრის ბრძანებით მტრისთვის თავი შეეკლა?!.

**მიკ.** ერთი, მამა გიცხონდა, თავიდან გვიამბე როგორ იყო საქმე...

**თედო.** რაღა როგო იყო: რაკი რუსეთის ნეფე ლენინმა ბათუმი ოსმალეთს გადასცა, ჩვენც უნდა ხელი აგვეღო და მიგვეცა რაღა, მაგრამ ღმერთმა დასწყევლოს ჯიუტი ხალხი... თურმე გეგეჭკორმა და ჩხენკელმა თავი გამოიდეს—არამც და არამც ბათუმს უომრად არ დავთმობთო...

**გას.** მერე?

**თედო.** მერე და ჩვენც გაგვგზავნეს საყასბოში. ბევრი კი არ ვიყავით, ერთი ათიათასიოდე კაცი ვიქნე-



გარეგინ ტერსტეფანიანი

საქართველოს დამფუძნებელ კრების წევრი, დაიბადა 1876 წ. ქ. სიღნაღში. კარგად იცნობს ჩვენს ცხოვრებას, ზნეჩვეულებას. ცნობილია როგორც საზოგადო და საპოლიტიკო მოღვაწე საქართველოს სომეხთა შორის. რევოლიუციამდე თბილისის საბჭოში იყო ხმოსნად, სომხის დემოკრატიულ ჯგუფის მხრივ,—რევოლიუციის შემდეგ იმავე საბჭოში ხმოსნად პარტია დაშნაკციუთუნის მხრივ. იგი ერთი ლიდერთაგანია თავის პარტიისა. თანამშრომლობდა რუსულ გაზეთებში სლეპცოვის ფსევდონიმით, ეხლა კი გართულია მშობლიურ ლიტერატურით და გაზ. „აშხატავორის“ თანამშრომელია. 12 იანვარს დამფუძნებელ კრების სხდომაზე ქართულად წარმოსთქვა მშვენიერი სიტყვა, რომელშიაც მიულოცა საქართველოს დამოუკიდებლად აღიარება და ის აზრი გაატარა, რომ «სომხის ერი, როგორც წინად, ეხლაც ერთგულად და ძმურად ემსახურება საქართველოს კეთილდღეობას და მის მოძმე დემოკრატიასო.“



ნიკოლ. ივ. სიხარულიძე
ხაშურის გვარდიის შტაბის თავმჯდომარე, ახლახან ხაშურის ქალაქის მოურავად არჩეული, დამსახურებული სცენის მოყვარე და პოლიტ. მოღვაწე, მწერლობაში ნიკო გურულის სახელით ცნობილი.

---

ბოდით... ციხეები ჩვენს ხელში იყო, ზღვაც, მაგრამ უცებ... ბათუმი ოსმალმა აიღო...

**გახ.** მერე საქართველოს ჯარი?

**თედო** გაგიხარიან ჩვენც ვაჟკაცობა გამოვიჩინეთ,—მე შენ გითხრა მტერს დაუტოვებდით რასმეს? გავუსით ხელი, ვისაც რა შეგვეძლო და, ჰერი, ბიჭო, შინისკენ... ჰეი, და, და, და, რა ვნახე: პოეზდი პოეზდს ვერ უსწრებდა ხალხი, ხალხს. ისეთი ზედა-ჭყლეტა იყო, იტყოდი მეორედ მოსვლააო...

**მიკ.** მერე რა მოგარბეინებდათ ასე?

**თედო.** იარაღი არა გვქონდა, იარაღი... არც საჭმელი... მერე კიდევ წელან არ გითხარ: ბალშენიკებმა ბრძანეს: არ იომოთო, გაეცალენითო...

**მიკ.** (ვითომ ცნობისმოყვარეობით, დაცინვით) ეგ რა არის, რომ გკიდია?

**თედო** ესაა? ერთი პულემეტრია, მეორე ტრიოხლინეიკა... დედა უტირეთ... გაგიხარიან, რომ ბიჭებმა დაითითოეს... ზოგმა ზარბაზნებიც კი დაითრია...

**მიკ.** (პატრონტაშებზე მიუთითებს) ეგ რაღაა?

**თედო.** (იღრიჯება) ესაა? როგორ გეტყობა, ნათლი, რომ დუქან გარედ არსად გასულხარ და სასწორგირების მეტი არაფერი გინახავს. ეს პატრონტაშია. ეს პატრონებიაესენი რომ არ იყოს, ეს პულემეტრი და ტრიოხლინეიკა ქანდარებადაც არ გამოდგება!..

**სერ.** (აქამდე პირზე ხელ-მიფარებული, ნიდაყვზე მაყრდნობილი იდუმალ ისმენდა ყოველივეს) ნუ, ტავარიშჩ მიკიჩ, ერთი კვარტი ღვინო კიდევ ჩვენი ამხანაგი სალდათის სადღეგრძელოდ..

**მიკ.** ახლავე! (მოართმევს)

**თედო.** (მიხედავს სერიოჟას, რომელიც ზურგ-შებრუნებით იჯდა) აი დიდება შენთვის ღმერთო! კაცო, შენ არ იყავი ბათუმში ყაზარმაში რომ გვიქადაგე... აი, კარგი გამარჯობა შენი!.. (მიუბრუნდება იმათ) აი, ეს იყო ი პირიდან რო მარგალიტები სცვიოდა,—სიტყვა კი არა—ნამდვილი ყუმბარები იყო... (საზოგადოთ) ჰეი, დედასა, ბიჭებს რა დარდი ჰქონდათ შენი!.. აი შენი ვაჟკაცობის ჭირიმე, რომ კიდევ ცოცხალი გნახე. არა, როგორ გამოასწარ თავი!..

**მიკ.** ერთი ხაზეიკასაც შევძახო: ვა, იცი რა იქნება!.. მე დავიდარაბის თავი არა მაქვს, დღესვე ქორწილი უნდა გავმართოთ! (გამოვა გარედ. გარედან მოისმის) ხაზეიკა, ხაზეიკა! აბა ერთი გამოიხედე, რა, ემე, უქნია ეს ჩვენი თედუა?!)

**სერ.** ეს გაუმარჯოს საბჭოთა რუსეთს, ბალშევიკების მთავრობას. ბათუმის დამხობა—ბალშევიკების ერთი დიდი გამარჯვებაა.

**გახ.** ახლა ჩვენსას არ იკითხავ?—ნახევარი საქმე გაკეთებულია!

**მიკ.** (გარედან) ვა, მოდი რაღა, შე დალოცვილო! სად დაიკარგე?

**მარგო** (გარედან) მეზობლისას ვიყავი, მეზობლისას... ეს-ეს არის შემატყობინეს... (შემოდიან)

(დასასრული შემდეგ ნომერში)

**იოსებ იმედაშვილი**



# თავ. გიორგი მიხეილის ძე თუმანიშვილი

(1854—1920)

ჟურნალისტ მწერალი და საზოგადო მოღვაწე, შვილი ცნობილ მგოსნის მიხეილ თ-ს, ძმა „ჯეჯილ"-ის რედაქტორის და „ნოვ. ობოზ." რედაქტორების კონსტანტინესი და ვასილ თ-თა ძველ სომხეთში ცნობილ მამიკონიანთ გვარის შთამომავალი, დაიბ. თბილისში 9 თებერვალს 1854 წ. სწავლა მიიღო თბ. კლასიკურ გიმნაზიაში, შემდეგ ნოვოროსსიის უნივერსიტეტში ქ. ოდესაში, დაამთავრა სწავლა-განათლება; 1875 წ. მიიღო იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი, და იმავე წელს დაიწყო სამსახური სამოსამართლო უწყებაში. იყო გამომძიებლად ფოთსა და თბილისში. ამ დროს თანამშრომლობდა გაზ. „დროებაში", რომელშიაც ბეჭდავდა თავის ცნობილ კრიტიკულ წერილებს ბელეტრისტების ჭონქაძის, რჩეულიშვილის და არდაზიანის შესახებ. ამ წერილებმა თავის დროზე შთაბეჭდილება

მოახდინეს მკითხველ საზოგადოებაზე და რამდენჯერმე კიდეც გადმობეჭდეს ისინი სხვადასხვა კრებულების გამომცემლებმა. 1879—1880 წ. გამოსცა ალმანახები: აქ იბეჭდებოდა ახალი თხზულებები ალ. ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, რაფ. ერისთავისა და სხვა.

1880—82 წ. მონაწილეობდა ჟურ „ივერია-ში", რომელსაც ხელმძღვანელობდენ ი. ჭავჭავაძე და ი. მაჩაბელი. აქ ბეჭდავდა რუსეთის პოლიტიკურ ცხოვრების და ერობის მიმოხილვას, თეატრალურ შენიშვნებს და სხ.

1881 წ. შევიდა მეფის მოადგილის საბჭოში, მდივნად. მსახურებდა გლეხთა მოწყობის საქმეთა კანცელარიაშიც. შემდეგ გადავიდა მთავარმართებლის კანცელარიაში, ბოლოს არჩეულ იყო დირექტორად თბილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებაში.

ხშირად თანამშრომლობდა სატახტო ქალაქების ჟურნალებში: „ვესტნიკ ევრ." (1881—85 წ.) „რუსკაია მისლ" (1890 წ.); გაზეთებში: „გოლოს", „პორიადოკ", „მოლვა" (1880 წ.); „რუსკია ვედომ.", „პრავო" და სხ.

1891 წ. თავის ძმებთან ერთად დაარსა „ნოვოე ობოზრენიე". რომელშიაც, სხვათა შორის, მონაწილეობდენ ნ. ნიკოლაძე, გ. ზდანოვიჩი, გ. ლასხიშვილი, აკადემიკოსები თარხნიშვილი და მარრი, პრ. ა. ხახანაშვილი და სხ. ამ გაზეთში გ. თუმანიშვილმა დასტამბა მრავალი წერილი სხვადასხვა საჭირბოროტო კითხვის შესახებ. ასე მუშაობდა 16 წლის განმავლობაში, სანამ მთავრობამ არ შეაჩერა გაზეთი. რედაქციას ხშირად აჯარიმებდენ და თ-ს დაპატიმრებასაც ემუქრებოდნენ, მხოლოდ ზოგჯერ მანიფესტი შველოდა.

მე 70-ე წლებში პ. უმიკაშვილსა, ალ. სარაჯიშვილსა, და ბ. ღოღობერიძესთან ერთად შეადგინა ამხანაგობა ქართველ კლასიკების ალ. ჭავჭავაძის, ნ. ბარათაშვილის, ზ. ანტონოვის, ი. ჭავჭავაძის („მეფე ლირის" თარგმანი) თხზულებათა გამოსაცემად. 1879 წ. დიდი ფასდაუდებელი სამსახური გაუწია ქართულ თეატრის აღორძინების საქმეს: შეადგინა მუდმივი მსახიობთა დასი. ჩვენი სცენის თითქმის ყველა დამამშვენებელმა მ. საფაროვ-აბაშიძისამ, ნ. გაბუნიამ, კ. ყიფიანმა, ვ. აბაშიძემ, კ. მესხმა, ა. ცაგარელმა და სხ. მაშინ დაიწყო მუშაობა თ-ი პირველ სეზონშივე რეჟისორად იყო. როდესაც ქართ. დრამატ. საზ-ბა დაარსდა, 9 წ. განმავლობაში გ. თ-ლს თავმჯდომარედ ირჩევდენ.

დიდი სამსახური გაუწია საერობო საკითხსაც. მრავალჯერ ულაპარაკნია ქალაქის საბჭოში, თავადაზნაურობის და სხვა კრებებზე ერობის შემოღების საჭიროებაზე და შესაფერი მოხსენებანიც წაუკითხნია. მისგან შექმნილმა მოძრაობამ მთავრობაც აამოქმედა.

დაარსა უმაღლესი კურსები კავკასიის შესწავლისათვის. მოიწვია ლექტორები პეტერბურღიდამ, მოსკოვიდამ და სხვა. (1906—9 წ.) დაარსა „საზოგადო კლუბი", სადაც იმართება შაბათობით საგულისხმო ლექციები.

1915 წ. გ. თუმანიშვილმა მიიღო მოსკოვის უნივერსიტეტისგან ოქროს მედალი თავის თხზულებათა საჩუქრათ. 1916 წ. მოსკოვშივე ის კითხულობდა შანიევსკის უნივერსიტეტში ლექციებს კავკასიის კანონმდებლობაზე.

თითქმის 30 წ. განმავლობაში თბილისის ქალაქის ხმოსნად ირჩევდენ.

**გ. თ—ლის სტატიები:**

„დროებაში": 1, „საბრალო ქვეყანა". 1875 წ., №№ 85,86. 2; „თამარ ბატონიშვილი", გრ. რჩეულოვისა, 1875 წ., № 101,102; 3, „სურამის ციხე", ჭონქაძისა, 1875 წ, № 105—118. (გადაბეჭდილია ჭონქაძის თხზულებაში), 4, ნ. ბარათაშვილის ლექსები, 1876 წ., № 60,61. 5, „მარშალის გულმტკივნეულობა", მოთხრობა ალფ დოდესი (თარგმანი), 1876 წ., № 76 6, ქართული ანდაზები, 1876 წ., № 80. 7, „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი", არდაზიანისა, 1877 წ., № 18—21, (გადაბეჭდილია არდაზიანის წიგნში). 8, პოლემიკა „ივერიასთან" ალმანახის შესახებ, 1880 წ. „ალმანახში" , „ჟორჟ დანდენი", კომ. მოლიერისა (თარგ.) წიგ., I 879 წ 2, „ეკონომიური სურათები", I და 2 წიგ, 1879—80 წ. 3, „შარშანდელ ქართულ მწერლობის გადათვალიერება", I წიგ, 1879 წ., 4, „პატარა წერილი დიდ საქმეებზე" (პოლიტ. მიმოხილვა), I წიგ, 879 წ 5, „ეხლანდელი ქართული გაზეთების მიმართულება", 2 წიგ., 1880 წ. ჟურ. „ივერიაში": I, „შარშანდელი რუსეთი" 1880; წ., № 1. 2, „რუსეთის ეხლანდელი მდგომარეობა", 1881 წ., № 4 და 9. 3, „მეფის მოკვლაზე" 1881 წ.. № 5; 4, ქართულ თეატრზე, 1882 წ. 5, რა არის „ზემსტვო" ანუ ერობა?, 1883 წ., № 2; „განთიად"-ში: „ერობა და ჩვენის აზოგადოება", 1915 წ., № 6. ც-"ში: „ა. წერეთლის თხზულებანი", 1916 წ., № 3. „თემი": 1, „ბატონყმობის გაუქმება", 1911 წ., 6. 2, დ. ერისთავის თხზულებებზე, 1912 წ. 3, აკ. წერეთელი და გ. ერისთავი, 1912 წ. 4, აკ. წერეთლის მოგონება, თებერვალი, 1915 წ. „სახალხო საქმე" (ცნობის ფურც.) 1, კავკასიის უმაღლეს კურსებზე, 1907 წ. 2, ნ. ბარათაშვილზე, 1915 წ. 3, „დროების დაარსებაზე, 1916 წ. „თეატრი და ცხოვრება."ში: I, ორიოდე სიტყვა სათეატრო ჟურნალის დანიშნულებაზე, 1910 წ., № 2. 2, ნატო გაბუნია ახალგაზრდობაში, 1910 წ., № 33. 3, გაბრ. სუნდუკიანცზე, 1917 წ., 4, ბედნიერი ქალი, კომედია, 1918 წ. **გ. თ-ის წიგნები ქართულად:**

1, „ალმანახი", პირველი წიგნი, 1878 წ., თბ. ფ. 40 კ. 2, „ალმანახი" მეორე წიგ., 1879 წ., თბ. ფ. 40 კ. 3, „ქართული თეატრის საქმე" 1879 წ., თბ. ფ. 15 კ. 4, „როგორ აიდგა ფეხი ქართულმა თეატრმა", 1880 წ., თბ. ფ. 5 კ. 5, „ბედნიერი ქალი", კომ. 2. მოქ. (გექტოგრაფიით გადაწერილი) 1879 წ. **რუსულად:**

1. „Кавказъ", спр вочная книга Старожила (псевдонимъ Г. М. и К. М. Тумановыхъ), 7 выпусковъ,

1887—1889 г.г. Тифлисъ, въ 2 изданіяхъ. ц.—1 р. 20 к. (всѣхъ выпусковъ). 2, Приложенія къ той-же книжкѣ: Словарь кавк. дѣятелей; Тифлисъ и его окр. Кахетія, Баку и его окр. 1890—91 г.г., Тиф. ц. 25—40 к. (кажд. вып.) 3, Записки и статьи о введеній земск. учрежденій въ Тифл. г б., вып. 1-й Тифлисъ 1897 г., ц. 25—30 коп. (изд. газ. „Нов. Обозр.") 4, Характристики и воспоминанія; 1 й выпускъ—1901 г., ц. 50 к.; тоже во втор. изданій—1913 г. 2 й вып.—1905 г., ц. 50 к. 3-й вып.—1908 г., ц. 50 к. Тифлисъ. იბეჭდებოდა 4-й выпускъ. 5, Земельные вопросы и преступность на кавказѣ, 1901 г., Петербургъ, ц. 60 к. (изд. журнала „Науч. обозрен.") 6, Замѣтки о городскомъ самоуправленіи на Кавказѣ 1902 г., Тифлисъ. ц. 60—75 коп. 7, Разбои и судебная реформа на Кавказѣ. 1903 г. Петербургъ. ц. 30 к. Изд. журн. „Вѣстн. права". готовится новое изданіе. 8, Къ введенію на Кавказѣ земскаго самоуправленія. 1905 г. Тифлисъ, ц. 20 к. Изд. книжн. магаз „Гутенбергъ". 9, По вопросу объ открытіи на Кавказѣ высш. учебнаго заведенія. Изд. журнала „Технич. обозр." Петербургъ. 1907 г., ц. 10 к. 10, Кавказскій—университет, 1908 г. ц. 5 коп. 11, Итоги земскихъ совѣщаній на Кавказѣ, 1 е изданіе 1915 г. Тифлисъ ц. 60 к.; 2 е изданіе въ томъ же году, ц. 1 р. 12, Первый камень (тифл. политехникумъ), 1915 г. Тиф. ц. 15 к. 13 Земская литература, 1918 г. Тифл. ц. 50 к. 14, Организація земства въ Закавказьѣ, 1919 г. Тифл. ц. 1 р., изд. журн. „Кавк-хоз." 15, Земскіе банки, 1919 г. Тифлисъ, ц. 50 к. Изд. журн. „Кавк. хозяйства." **სომხურად**: 1. უმაღლესი სასწავლებელი თბილისში, გადათარგმნ. ჯალალოვისაგან, 1907 წ. თბ. ფ. 10 კ. (გადაბეჭდილი ჟურნ. „მურჩ"); 2, ერობა სომხეთში და საქართველოში, გაზ. „ჟოღოვუდი ძაინ" გამოცემა, 1918 წ., თბ. ფ. 50 კ.

ყველა ეს წიგნები იბეჭდებოდა ავტორის სახელით გარდა წიგნებისა: „კავკაზია", პირველ ზემოხსენებულ წიგნებისა ერობაზე და უმაღლეს სასწავლებელზე თბილისში. სტატიები ჟურნალებში და გაზეთებში იბეჭდებოდა, როგორც ავტორის სახელით, ისე შემდეგი ინიციალებით და ფსევდონიმებით: გ. თ-გ.; თ. ალ. შვილკა; ეზოპი; ოლდ და სხ. ხელმოუწერელი სტატიები იბეჭდებოდა „ალმანახში" და გაზ. „ნოვოე ობოზრენიე-"ში (მოწინავე სტატიები).

ზემომოყვანილ წიგნებზე და მოღვაწეობაზე იყო რეცენზიები დაბეჭდილი შემდეგ რუსულ ჟურნალებში და გაზეთებში: „Русская Мысль" „Міръ Божій," „Русск. Вѣд." „Новости", „Курьеръ" „Народы и области" „Петерб. Вѣд." „Русск. Слово", „Баку"; ქართულში. „ივერია" ( პ. უმიკაშვილისა), „დროება" (ალ. სარაჯიშვილისა) „თემი" და სხვ.

უმთავრესი აზრი გ. თუმანიშვილის სალიტერატურო და საზოგადოებრივ მოღვაწეობისა იყო: კავკასიის ერობის თვითმართველობა, კულტურული და პოლიტიკური. ამისთვის ავტორის აზრით საჭირო იყო: ერობა, ქალაქების თვით-ბა,მსაჯ-ს არჩევა ხალხის ხმით, უმაღლესი სასწავლები თბილისში, სამშობლო სცენა, პრესის თ-ავისუფლება, კრებების თავისუფალი მოწყობა (სახალხო სალები, „საზოგადო კლუბი" და სხვ.) კონსტიტუციის, ავტონომიის და ფედერაციის აზრების გავრცელება (ბეჭდვით, ლექციებით და სხ.) უამ საძირკვლოთ, არარა პროგრესი ჩვენში არ შეიძლება და პოლიტიკური თავისუფლება ძირიანად დაიშლება.

ზემოხსენებულ აზრების განსახორციელებლად საჭიროა შეერთებული კავშირი ყველა ადგილობრივ ერებისა.

გარდაიც. 1920 წ. იანვრის 26 დაკრძალულია ხოჯივანქის სასაფლაოზე.

ქართული თეატრი მუდამ მადლობით მოიგონებს მისს სახელს *).



**სახელმწიფო თეატრში.** ვ. დოლიძის კომიკური ოპერა „ქეთო და კოტე" რამოდენიმეჯერ დაიდგა. ოპერა იუმორისტულ მუსიკით არის დაწერილი, რაც ამტკიცებს კომპოზიტორის სამუსიკო ნიჭს. მაგრამ ორიგინალურ მუსიკას საპატიო ალაგი არ აქვს დათმობილი. რაზე დასჭირდა ოპერაში ვ. დოლიძეს ევროპაში გამგზავრება, როსინის, პუჩინის და სხ. „ვიზიტები", როდესაც იმერეთ-გურიის მუსიკა ბევრ მასალას იძლევა იუმორისტულ ოპერისათვის? ვიმედოვნებთ, რომ მომავალში ვ. დოლიძე უფრო ორიგინალურ ოპერას მოგვაწოდებს, მას სათანადო ნიჭი შესწევს. მაინც „ქეთო და კოტე" დიდი მოვლენაა ჩვენის ხელოვნების ისტორიაში.

აღმსრულებელთაგან აღსანიშნავნი არიან; ქ. კალანდაძისა, ბ. თარხან—მოურავი, როგაჩევსკი, ისეცკი, ქურხული, კურბატოვი და სხ.

რეჟისორმა ა. წუწუნავამ, ჩვეულებრივად თავისი ორიგინალური ნიჭი დაამტკიცა, ამ საუცხოო ოპერის დადგმით.

**სახელ. თეატრში** სამშაბათს, იანვრის 20 შეერთებული ძალებით დაიდგა არაყიშვილის ოპერა „თქმულება შოთა რუსთაველზე." შოთა—ი. სარაჯიშვილი ჩვეულებრივად ლამაზი იყო. აბდულ-ინაშვილი და გულჩინა—ბექანიშვილი შედევრად უნდა ჩაითვალოს ჩვენის ხელოვნების ისტორიაში: ბექანიშვილისა დიდი იმედია ქართულ ოპერის, ვ. ლორთქიფანიძემ გადმოგვცა ნამდვილი ტიპი მგოსნისა, რაც საზოგადოებამ ტაშის ცემით დააჯილდოვა. გაბაშიძის—ნინო კარგი იყო. კაპელას ხოროც გაუმჯობესდა. ხოლო თამარ მეფე—ცაგარლისა ჩვეულებრივ სუსტი იყო. კვლავ მადლობა ახმეტელს ორიგინალურ დადგმისთვის, მაგრამ მეორე სურათში ცოტა სინათლე შეუშვას, თორემ სცენაზე რაღაც სიბნელის სამეფო სუფევს.

**სა—ნო.**

**ქუთაისის სათეატრო სეზონი** არასოდეს არ ყოფილა ესოდენ ღირს-აღსანიშნავი, ენერგიითა და ნაყოფიერებით სავსე, როგორც ამ მიმდინარე სეზონშია, მაგრამ ამასთან ერთად არასდროს არ ყოფილა ქართული პრესის

---

*) ცნობები ამოღებულია იოსებ იმედაშვილის ხელნაწერ „ქართველ მოღვაწეთა ლექსიკონი-"დან

მიერ მივიწყებული და მიყრუებული, როგორც ეს წრეულს არის.

მართალია, დღევანდელ პირობებში ქართული პრესა დატვირთულია დიდ და რთულ პოლიტიკურ საკითხებით, მაგრამ სათეატრო ხელოვნების ავ-კარგიანობას, მის ნაკლსა და ღირსებას თვით დღევანდელ მომენტშიაც უნდა ჰქონდეს დათმობილი, თუნდ მცირე ადგილი როგორც ჩვენი აღორძინებისა და განახლების ერთ-ერთ ლამაზ მხარეს!..

დასი შესდგება ახალგაზდა მსახიობთაგან.

მასში შედიან ასეთი თვალსაჩინო ძალებიც: ბ ბ ნი ზარდალიშვილი, იმედაშვილი, ყალაბეგიშვილი, კორიშელი, მურუსიძე, არაბიძე, გომელაური და სხ. მსახიობ ქალთა შორის მარო მდივნისა და შოთაძის ასულის გარდა, რომელთაც დიდი ხანია აქვთ დამსახურებული სიყვარული და თანაგრძნობა საზოგადოებისა, აღსანიშნავია ქუთაისის სცენისთვის ახალი და თვალსაჩინო ძალა ქ-ნი ცაცა ამირეჯიბისა. პასუხსაგებ დრამატიულ როლებში ეს მსახიობი თავისი ბუნებრივი ნიჭის წყალობით მუდამ დამაკმაყოფილებელ შთაბეჭდილებას სტოვებს სცენის სერიოზულ მეთვალყურეზედაც. აღსანიშნავია ქ-ნი ლოლუას თამაში, ცქრიალა და მოზარდი თაობის როლებში.

კვირაში იდგმება 3 4 წარმოდგენა. პიესები შერჩეულია. იდგმება აგრეთვე კლასიკური და რთული პიესებიც. ხალხმა შეიყვარა თეატრი. თითქმის ყოველ წარმოდგენაზე სათეატრო დარბაზში ტევა აღარ არის. ძველ დრო ჟამთან ერთად გაქრა ძველი გულგრილობა ქართული თეატრის მიმართ და, ეჭვს გარეშეა, ამით ქართველ მსახიობის ცხოვრებაშიაც ახალი ხანა სდგება, ახალი სასიცოცხლო ენერგია ისახება. მე უკვე ვხედავ და ვგრძნობ ამის ახალ ნაყოფს. მსახიობთა თამაშში ისე აღარ მოსჩანს როგორც აქამდე გულგრილობა, როლის უცოდინარობა, მელანქოლიური მდგომარეობა, გრძნობენ ისინი ხალხის თანაგრძნობას და თვითაც სცდილობენ დააკმაყოფილონ მისი სულიერი მისწრაფება. ესაა ცნობა და დაკავშირება ერთიერთმანეთისადმი, ესაა საწინდარი წარმატებისა, აღორძინებისა და წინმსვლელობისა.

ჩვენ ვულოცავთ ამ ერთმანეთისადმი დაახლოებას როგორც სცენის მუშაკთ, აგრეთვე სამშობლო სცენის აღორძინების მოყვარულ საზოგადოებას.

რაც შეეხება პიესების გარეგნულ მხარეს, მის ტეხნიკურ სილამაზეს და შესრულებას, ამაზე სერიოზულად კრიტიკა ან მსჯელობა შეუძლებელია.

რაც უნდა დიდი ნიჭი სურვილი და გამოცდილება გქონდეთ, ქუთაისის ვიწრო სცენა და დარბაზი ამის საშუალებას არ გაძლევთ. დრო არის ამ საგანზე მართლა სერიოზულად იფიქროს ქალაქმა.

დიდ და შესაფერის სათეატრო შენობაზედ დღესვე არ ვფიქრობთ, მაგრამ შესაძლებელი და აუცილებელი კი არის არსებული თეატრის გაფართოება და გადიდება მეზობელ შენობათა რეკვიზიციით.

შეუძლებელია ხელოვნების ტაძრის გაფართოებას არ ვანაცვალოთ ორი უპრალო სადუქნე ადგილი და ამ საკითხში ჩვენ კიდევ ფიქრი და გამორკვევა გვჭირდებოდეს.

ჩვენდა სამწუხაროდ ჩვენს სამშობლო დედა ქალაქში ქართული დრამა უბინაოთ დარჩენილი ღამის თავშესაფარს დაეძებს, რამდენად ეს არ შეეფერება დღევანდელს ჩვენს, მდგომარეობას ამას ყველა ვგრძნობთ და ვფიქრობთ რესპუბლიკის მთავრობა მიაქცევს ამ საგანს შესაფერის ყურადღებას.

ქუთაისში კი ქალაქმა უნდა გააფართოოს და გაადიდოს სათეატრო დარბაზი და სცენა, რომ ამით ყველას მადლობა და პატივისცემა დაიმსახუროს. წინააღმდეგ შემთხვევაში მომავალი სეზონის სერიოზული წარმოება შეუძლებელი იქნება...

**ჯაფარ-ფაშა.**

**ქ ლანჩხუთში** ორშაბათს, იან. 19 იოსებ იმედაშვილმა წაიკითხა ორი ლექცია „ცხოვრება და ხელოვნება“ და „ქართველი მეომარი ძველად და ახლა“. დასასრულ მოხდენით წაიკითხეს საკუთარი ლექსები ახალგაზდა მგოსნებმა: კოკი ებრალიძემ და ლადო პერტაიამ. თეატრი სავსე იყო საზოგადოებით, რომელმაც ლექტორი და მონაწილენი ტაშით დააჯილდოვა. შემოსავალი „თეატრი და ცხოვრება-“ს რედაქციას გადაეცა. ურიგო არ იქნება, ადგილობრივი ინტელიგენცია და ახალგაზრდობა უფრო ბეჯითად მოეკიდებოდეს სათეატრო საქმის გაუმჯობესებას, მით უმეტეს, რომ აქ საამისო ძალანი უხვად მოიპოებიან. აქ არის გიმნაზია, პირვ.- დაწყ. უმაღლესი სასწავლებელი და სხ. კულტურული დაწესებულებანი. აქაური ახ ლგაზრდობა ფხიზლად ეპყრობა ხელოვნების საქმეს. საჭიროა მეტი საქმიანობა. **გი—გი**

**ბათომი**, რომელიც უნდა შეიქნეს მთელ ქართველ მუსლიმანების კულტურული აღორძინების ხელმძღვანელი, დღემდი ვერ ეღირსა ხეირიან დრამატიულ წრეს. ვინ არ გინდათ, აქაურ ქართულ სცენას არ დაეპატრონა: ვაჭარმა და სპეკულიანტმა თავისის სამოქმედო ბაზად გაიხადა იგი. მთელი თვეობის განმავლობაში, როდესაც ჯერ კიდევ კარგად არ იყო დაბრუნებული ქართველობა, ვიღაც მამულოვმა, „ძველი სცენის მოყვარეთა“ იარლიკით, მართა წარმოდგენები. არც ერთ წარმოდგენაზე ვერ მიიღებდით იოტის ოდენა კმაყოფილებას. მათმა უფერულმა წარმოდგენებმა აქაურ საზოგადოებას თავი მოაბეზრა, ხალხს შეაძულა თეატრი, პრესაც კი ალაპარაკდა ამ ვაჟბატონების თავხედობაზე. ხალხში ხელოვნება ისე დასცეს ამ ვაჟბატონებმა, რომ თბილისიდან ჩამოსულ გამოჩენილ მსახიობების და მუსიკოსთა წარმოდგენა კონცერტებსაც ნაკლებად ესწრობოდა. რამდენიმე თვის წინად მოწინავე ინტელიგენცია თანდათ ნ დაუბრუნდა თავის ადგილებს, ნელ ნელა შეიკრ ბენ ნამდვილი ძველი სცენის მოყვარენი და დაარსეს წრე, თბილისს გაგზავნეს კაცი დამფუძნებელ კრების ხელოვნების კომისიაში დახმარების გამოსათხოვრად: რეჟისორისა და სხვ. გამოსაწვევად. საერთოდ ცდილობდენ კარგად მოეწყოთ ადგილობრივი თეატრის საქმე, რამდენიმე წარმოდგენაც დადგეს, ხალხი საკმარისად დაესწრო და კმაყოფილიც დარჩა.

გვეგონა ახლა მაინც მოელებოდა ბოლო სცენის გაუწმაწურებას, მაგრამ მოვტყუვდით. სამწუხაროდ დამსახურებულ სცენის მოყვარეთა წრის მოქმედებას წინ გადაელობა თბილისიდან რეჟისორის მოუსვლელობა. ამითი ისარგებლეს სცენის ძველმა პაპპულებმა—მამულოვმა და მისმა კომპანიამ: დაიწყეს ძველებურად სცენაზე ჩხირკედელაობა და, ვინ იცის, სანამდე გასტანს მათი უმგვანო მოქმედება.

ასეთია დღეს თეატრის ბედი სამუსლიმანო საქართველოს ცენტრში და ამას უნდა მიექცეს სერიოზული ყურადღება. ყოველი ქართველის მოვალეობაა, იზრუნოს რომ ბათომის თეატრი აღსდგეს, კარგ დონეზე დადგეს და ხალხის საკეთილდღეოთ დაიწყოს მუშაობა ყოვლის უპირველეს თეატრს უნდა მიექცეს ყურადღება, რომ იგი შეიქმნეს ნამდვილი კულტურისა და ხელოვნების წმინდა ტაძარი.

**ოტტო კანი**

# წვრილი ამბები

**თბილისის სადარაჯოს** ათასეულში ლეიტენანტ ვ. გორგაძის თაოსნობით დაარსდა ჯარისკაცთა უნივერსიტეტი, თეატრი და სკოლა.

**დამსახურებული სცენის მოყვარე** და მასწავლებელი ვ. ასკურავა სწერს ახალ პიესას „თეთრი ყორანი“.

**ლანჩხუთში** განუზრახავთ ხელოვნების მოყვარულთა წრის შედგენა.

**გამოსაცემად მზადდება** კ. ებრალიძის (ტალღას) ნაწერები.

**ვ. ასკურავას** ახალი პიესის „შავი არშია-“ს წარმოდგენა განუზრახავთ თბ სახალხო სახლში.

**აკაკი ჩხენკელმა** ისტორიული ლექცია წაიკითხა სახელმწიფო თეატრში, რომელსაც საზოგადოება ალტაცებით მიეგება როგორც საქართველოს დამოუკიდებლობის მედროშეს.

**ქალთა საზოგადოებამ** დაარსა ბავშების სახლი, კლუბით და წიგნ-საცავით.

**იბეჭდება** და მოკლე ხანში გამოვა: 1) „თქმულება შოთა რუსთველზე“, ი. მჭედლიშვილისა და 2) ორი პიესა შ. გომართლისა „ქართველი სტუდენტები“ და „უკანასკნელი ქეიფი“.

**ბორჯომის წყლის** მოიჯარაორე დ. ქებაძემ სტამბოლში გაალო კანტორა წყლის სავაჭროდ. ასეთივე კანტორის გაღებას აპირებს ნიუ-იორკში.

### მწიგნობრობა

**ახალი პიესა** იოსებ იმედაშვილისა „ზამთრის პირზე ანუ ესეც შენი იუბილე“, პიესა 2 სურ 16 გვ. 5 მან

**„ჩიტ-ბელურა“**, დასურათებული ხალხური ზღაპარი ლექსად სტ. ძიმისტარიშვილის (კორტოხას), გამოცემა ნორჩი საქართველოსი, საამო მოვლენაა ჩვენს მწიგნობრობაში, დასურათებულია საუკეთესო ორიგინალურ სურათებით და ხალხური ენით დაწერილი. შეიცავს 31 გვ ღირს 6 მან

**ზ. ჭიჭინაძის** მიერ შედგენილ-გამოცემული: 1) „საქართველოს მოსპობა და ქართველი ერის გარუსება და იმის შესახებ ისტორიკოსის პ. იოსელიანის წინასწარმეტყველება“, ფ. 3 მ. 2) „ფარული საზოგადოების დაარსების მიზეზები“, ფ 2 მ.

**„შვიდი მნათობი“**, სალიტ.-სამეცნიერო ჟურნალი, № 2 შედგენილია შინაარსიანად, დაბეჭდილია კარგს ქაღალდზე, სურათებით შემოსილი და ღირს 75 მ

**„ხელოვნება“**, „თეატრი და მუსიკა-“ს მეორე ნომერი საუცხოო ქაღალდზე, სურათებით, 32 გვ ფ 20 მ.

**ობოლი მუშის** ახალი პოემა „წამების ჯვარზე“. გამოცემა უშანგი ელიავასი, ცალკე წიგნად გამოვიდა პოემა ეძღვნის სანდრო კეცხოველის, პეტრე ავლოხაშვილსა და საშა რიკაძის ხსოვნას დაბეჭდილია კარგს ქაღალდზე, შეიცავს 40 გვ და ღირს 10 მ. პოემა დაწერილია მშვენიერი ლექსით და მხატვრული ენით

**„ცისარტყელა“** თვიური ჟურნალი, № 1 და 2 მივიღეთ. ორივე ნომერი შინაარსიანი და ლამაზად გამოცემული. თითო ფ. 15 მან.

### შემოწირულება:

„თეატრი და ცხოვრების“ სასარგებლოდ: 1, ზაქარია თოიძისგან—100 მ. 2. ივ. დავ. კიკნაძისაგან 500 მ. 3, ხაშურის ღრამ. კავშირის თაოსნობით გამართულ საღამოსგან (იან. 29) 5000 მანეთამდე (დაწვრილებით შემდეგ). ამ საღამოში სრულიად უფასოდ მიიღო მონაწილეობა დრამატიულმა წრემ, გვარდიის მუსიკამ და კლუბმა რომელმაც ქირა არ აიღო.

შემომწირველთ რედაქცია გულითად მადლობას უძღვნის.

**რედ.**

განცხადებანი მიიღება ჟურნალში დასაბეჭდ. **ფასი ზომიერია**

ХУДОЖЕСТВЕННАЯ
ФОТО-ЦИНКОГРАФІЯ
ТВА
С. СОТОМОНЯНЪ и
А. СЮТЧЬЯНЪ
ТИФЛИСЪ, Пушкинскій пассажъ
КЛИШЕ для всевозможныхъ иллюстриров. изданій
на цинкѣ, мѣди, гальвано и эмалевое

კახური ღვინის
საწყობი
„სინათლე“
ვ. გიგოშვილის და ჯოხაძესი
ოლღას ქუჩა, 7. ტელ. 4-36.

СКЛАДЪ КАХЕТИНСКИХЪ ВИНЪ
„СИНАТЛЕ“
И. ГИГОШВИЛИ и ДЖОХАДЗЕ
ТИФЛИСЪ, Ольгинск. 7. Тел. 4-36.
№

პირველხარისხოვანი რესტორანი
შამპანი!
ამხ—ბა ძმათა კერესელიძეების და ბაქრაძეთა
(რუსთაველის პრ. სახლი გორელაშვილის № 16)
**ერთი საუკეთესო რესტორანთაგანი დემოკრატიის სასტუმროდ.**
საუზმე და სადილი ქართლური, იმერული, ევროპიული, აზიური მზადდება საუკეთესო მზარეულის თავდგომით, სასმელები ყოველნაირი. რესტორანში უკრავს სიმებიანი ორკესტრი.
(წლიური)

უცხო
სიტყვათა ლექსიკონი
შედგენილი იოსებ იმედაშვილის მიერ; მეორე შევსებულ-შესწორებული გამოცემა.
ფასი 100 მან.
გაწერვა შეიძლება „თეატრი და ცხოვრებიდან“
10—2

რედაქტორ-გამომცემელი **იოსებ იმედაშვილი.**

სტამბა ქართველთა ბეჭდვითი ამხანაგობის, რუსთაველის პრ., № 26.